ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 321

ქალაქი ქუთაისი 25 სექტემბერი 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
უძრავი ქონების (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №85)
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის
საკუთრებაში გადაცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 30 აგვისტოს №5/50096 და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 17 სექტემბრის №44-4424261333 წერილობითი მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, თამარ მეფის ქუჩის №85-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა–ნაგებობა №1 (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.03.27.560; მიწის ფართობი: 248.00 კვ.მ.), შემდგომში მოქალაქეების: ზურაბ აფრიდონიძისა (პირადი №60002017498) და დავით ფაილოძის (პირადი №60001019076) საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩის №58ბ-ს ჩრდილოეთით მდებარე მიწის ნაკვეთის (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.03.22.716; მიწის ფართობი: 248.00 კვ.მ.) ადგილმონაცვლეობის მიზნით.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქონების გადაცემის მიზნით, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
გას. №-1627
26 ----09---2024წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო